2

F567 ✓3402

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბავშვო ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 3 (163)

თებერვალი,

1967 წელი

საქ. სსრ ... ბიბლიოთეკა



სცენაზეა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი (ცეკვა „მხედრული“)

დედაქალაქის მოამავალი

დღითიდღე მშენდება საქართველოს დედაქალაქი. ყველგან ახალი მშენებლობებია: სულ უფრო მაღლა იწევს „ცათამბჯენების“ სართულები, ფართოვდება საცხოვრებელი მასივები, შენდება მწვანე ოაზისები. წლითიწლობით იზრდება ასიგნება ქალაქის კაპიტალური მშენებლობისათვის — ხუთწლედში **ყველა** ობიექტის მშენებლობისათვის დაიხარჯება 370.957 ათას მანეთზე მეტი. ეს 43 პროცენტით მეტია, ვიდრე წინა ხუთწლეულში.

საგინაო მშენებლობა

ხუთწლედის მანძილზე თბილისში გათვალისწინებულია აშენდეს 1.900 კვადრატულ მეტრამდე საცხოვრებელი — 280 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში.

თბილისი გაიზრდება არა მარტო სივანით, არამედ სიმაღლითაც, არა მარტო ახალი მასივების აშენების, არამედ ქალაქის ძველი ნაწილის რეკონსტრუქციის შედეგადაც. ქალაქში აშენდება ცხრასართულიანი დიდბანელიანი და 12-14-16-18 სართულიანი კარკასულ-პანელიანი სახლები. ასეთი სახლები აშენდება აკაკი წერეთლის პროსპექტზე, დოლიძის, ხალიანის, შაუმიანის, ოქტომბრის, ზოშარაულის, ბარათაშვილისა და სხვა ქუჩებზე. შეიცვლება რუსთაველის პროსპექტი და მოედანი.

იქმნება სხვადასხვა ტიპისა და მოცულობის სახლების პროექტები. ეს შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ქალაქი მაღალმხატვრულ დონეზე განაშენიანდეს. ახალი საცხოვრებელი მასივები აშენდება ელმავალმშენებელთა დასახლებაში, ავჭალის ზღვარედილზე, 26 კომისრის რაიონის მესამე მასივში. მომავალი წლიდან ავაშენებთ სახლებს, სადაც ჭერის სიმაღლე 2,5 მეტრის ნაცვლად 2,7 მეტრი იქნება.

კომუნალური მშენებლობა

32 პროცენტით გაიზარდა ასიგნება კომუნალური მშენებლობისათვის. ქალაქის კომუნალურ მეურნეობაში დიდი ცვლილებებია გათვალისწინებული. ჰოპორტისა და ბულაჩაურის წყალსადენების შემდგომი გაფართოებით ქალაქი ყოველდღე დამატებით მიიღებს 20 ათას კუბურ მეტრზე მეტ სასმელ წყალს. რვა რეზერვუარი აშენდება დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში. გათვალისწინებულია აგრეთვე გაიზარდოს წყლის ამოღება თბილისის ზღვიდან.

ხუთწლედის დამლევისათვის ყველა ბინის 80 პროცენტი გაზიფიცირებული იქნება. გაზის ქსელი კიდევ 440 კილომეტრით გაიზრდება.

გაზის ქსელთან ერთად ფართოდ განვითარდება ქალაქის თბომეურნეობა. 15 ახალი და ექვსი გაფართოებული საქვაბე მიაწვდის სითბოს მოსახლეობას. ათასმდე კომუნალური სახლი თბოფიცირებული იქნება. თბომქსელი მიაღწევს 166 კილომეტრს მაშინ, როცა წელს მხოლოდ 65 კილომეტრია.

ქალაქის ტრანსპორტი

ქალაქთან ერთად იზრდება სატრანსპორტო არტერიები. მუშავდება საერთო სატრანსპორტო სქემა, რომელიც შექმნის შესაძლებლობას, რაც შეიძლება შეამციროს დროის დანაკარგები საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილამდე მისასვლელად. ხუთწლედის მანძილზე ავტობუსებისა და ტრამვაების რიცხვი ერთიორად და მეტად გაიზრდება. თბილისელებს შესაძლებლობა ექნებათ გლდანში ტრამვაით წავიდნენ, ხოლო ტროლეიბუსით ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის ბოლომდე. ტროლეიბუსის პარკს შეემატება 95 ახალი მანქანა, ტრამვაის პარკს — 100 ახალი ვაგონი. მანძილს შეამცირებენ ახალი საბაგირო გზები, რომელიც ვაჟა-ფშაველას პროსპექტს დაუკავშირებს ლისის ტბას, ვაკეს — წყნეთს.

ათი ახალი სამგზავრო კატარღა რეგულარულად იცლის მტკვარზე.

ხუთწლედის დამლევისათვის საქართველოს დედაქალაქში აშენდება ათი ავტოსაგზაო ხიდი და ათი მიწისქვეშა გადასასვლელი. ახალი ხიდი შეაერთებს ვახუშტის ქუჩას და საქართველოს სამხედრო გზას. გზას შეამოკლებს ახალი ხიდი სოფიანლუღიდან ნავთლუღის რაიონში. მიწისქვეშა გადასასვლელები აშენდება ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ მაგისტრალებზე: ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან, სპორტის სასახლის წინ, უნივერსიტეტთან, მელიქიშვილის ქუჩაზე შენებარე კინო-საკონცერტო დარბაზთან. გრძელდება ახალი სანაპიროს მშენებლობა დიღუბის ხიდიდან ავჭალამდე. საინტერესოა, რომ მარცხენა სანაპირო მეტეხის ხიდიდან ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურამდე გვირაბის სახით აშენდება. სატრანსპორტო მაგისტრალები აშენდება ზაჰესამდე და ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურიდან სოფიანლუღამდე.

8,2 კილომეტრით გაგრძელდება თბილისის მეტროპოლიტენი. მალე საექსპლოატაციოდ გადასცემენ „300 არაგველის“, „ლენინის მოედნის“, „26 კომისრის“ სადგურებს. შემდეგ მეტროს ხაზი გაგრძელდება სადგურ „ნავთლუღამდე“ და სასტუმრო „აფხაზეთამდე“. დაიწყება ვაკე-საბურთალოს წრიული ტრასისა და დიღმის ხაზის დაპროექტება.

მწვანე ოაზისები

თბილისის გარშემო გაშენდება ნარგავთა ფართო ზოლი. ახალი მწვანე კუნძულები გაჩნდება თბილისის ზღვის, კუს ტბის ნაპირებზე, ნარიყალის ნანგრევების გარშემო. გამწვანების ერთ-ერთი გრანდიოზული ობიექტი იქნება ტყე-პარკი მდინარე ვერის ხეობაში სტუდენტთა უბანსა და გმირთა მოედანს შორის. ქალაქის ყველა რაიონს ექნება საკუთარი ორანჟერეები, რომელთა საერთო ფართობი 17 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. დიდი ყურადღება დაეთმობა გარეუბნების განვითარებასა და კეთილმოწყობას, თბილისის გარშემო ახალი კლიმატური კურორტების შექმნას.

სასტუმროები, სკოლები, კინოთეატრები...

ჭლითიწლობით საქართველოს დედაქალაქში სულ უფრო მეტი სტუმარი ჩამოდის და სასტუმროები გვაკლია. ახლა საზოგადოება „ინტურისტი“ ელბაქიძის დაღმართზე აშენებს 20-სართულიან სასტუმრო „ივერიას“. მრავალსართულიანი სასტუმროები აშენდება რუსთაველის მოედანზე და სპორტის სასახლესთან. საქალაქო საბჭოს აღმასკომი ააშენებს ორ კომფორტაბელურ „სტუმართმოყვარეობის სახლს“ გორგასალის ქუჩაზე და ქალაქის ცენტრში.

ხუთწლედის მანძილზე აშენდება 44 ახალი სკოლა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს თითქმის ყველა სკოლა გადავიყვანოთ ერთცვლიან მეცადინეობაზე.

ქალაქის სხვადასხვა რაიონში აშენდება ახალი სამკურნალოები, სადაც საწოლების რიცხვი 1.205 იქნება. მაგალითად, საბურთალოში, აშენდება 12-სართულიანი საავადმყოფო. თბილისში აშენდება 6 ახალი კინოთეატრი — მოსკოვის პროსპექტზე, ელმავალსაშენებელი ქარხნისა და ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის დასახლებებში, 300 არაგველის ბაღში, დიღომში.

აშენდება კინოს სახლი. ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე აშენდება სრულიად საკავშირო ფირმა „მელოდიის“ გრამჩანაწერთა სტუდია.

დამთავრდება საზაფხული საცურაო აუზის მშენებლობა სანაპიროზე, ახალი ველოტრეკის მშენებლობა საბურთალოში. დიღომში, 26 კომისრის საბელობის რაიონში, თბილისის ზღვაზე აშენდება სასპორტო კომპლექსები და ბაზები.

მაღაზიები, რესტორნები, კაფეები...

ხეთწლედის დამლევს მოსახლეობას მოემსახურება 171 ახალი მაღაზია. ეს ორნახევარჯერ მეტია, ვიდრე გასახნა წინა ხუთწლეულში. 1970 წელს თბილისელებს მოემსახურება 254 რესტორანი, კაფე, სასადილო, ავტომატი — სასაუზმე. სავაჭრო ცენტრები აშენდება დიღომსა და ელმავალსაშენებელი ქარხნის დასახლებაში. რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში აღიმართება უნივერმაღის მრავალსართულიანი შენობა, სადაც იქნება 450 სავაჭრო ადგილი.

„სამშობლოს ხმის“ მკითხველებს ესაუბრება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი.

თბილისი... ზღვისკენ მიდის

თბილისი უკვე ვეღარ ეტევა მრავალსართულიანი სახლებით განაშენიანებულ ფართო მაგისტრალებზე, ქალაქის გარეუბნებში კუნძულებივით მიმოფანტულ ახალ საცხოვრებელ მასივებში. ქალაქის მოსახლეობის ზრდამ დემოგრაფებს მთელი ანგარიში აურია. ვარაუდობდნენ, რომ 1970 წელს თბილისის მოსახლეობა 800 ათას კაცს შეადგენს. მაგრამ უკვე შარშან ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 30 ათასით მეტი იყო.

რა მიმართულებით განვითარდება ქალაქი, როგორი იქნება თბილისი მომავალში? კითხვას პასუხი გასცა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ამასწინანდელმა სესიამ, რომელმაც დაამტკიცა საქართველოს დედაქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის საფუძვლები.

სესიას უნდა გადაეწყვიტა სამხრეთისაკენ, კუმისის ტბის მიმართულებით განვითარებულიყო ქალაქი, თუ ჩრდილო-აღმოსავლეთით, თბილისის წყალსაცავისაკენ, რომელსაც თბილისის ზღვას უწოდებენ. საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა მეორე წინადადებას დაუჭირეს მხარი.

თბილისი წავა სამგორის ველისაკენ, სამგორის სარწყავი სისტემის წყალსაცავის მიმართულებით. ეს ვარიანტი რამდენიმე მოსაზრებით არის დასაბუთებული. თბილისის ზღვის ნაპირები ქალაქის ცენტრსა და სხვა რაიონებს უკავშირდება ხელსაყრელი საკომუნიკაციო ხაზებით. უნდა ითქვას, რომ ამას წინათ მშენებლებმა დაამთავრეს ოთხკილომეტრიანი გზატკეცილის გაყვანა ზღვისაკენ. ამ გზას სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ საქართველოს დედაქალაქის ხვალინდელი დღის გზა. ეს რაიონი დაშორებულია სამრეწველო საწარმოებს. აქ სუფთა ჰაერია და პაპანაქება სიცხეშიც კი გრილა. ეს კი სამხრეთის ქალაქისათვის ცოტას როდი ნიშნავს. გარდა ამისა ამ ადგილას ყველაზე რაციონალურად განაწილდება საცხოვრებელი უბნები.

ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაპირებზე აღიმართება ცხრა, თოთხმეტ-თექვსმეტ და თვრამეტსართულიანი შენობები. აქვე იქნება ქვიშის პლაჟები, სადაც გაშენდება მწვანე ნარგავები. გათვალისწინებულია ახალ საცხოვრებელ მასივში იცხოვროს რამდენიმე ასეულმა ათასმა კაცმა.

მაგრამ ქალაქის მშენებელთა ამოცანა მხოლოდ ბევრი სახლების აშენება როდია. საჭიროა ამ სახლებში მაქსიმალურად იყოს კომფორტი, ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქის იერზე.

თბილისის ახალმშენებლობათა დაგეგმვისას გაითვალისწინებენ ადგილის კოლორიტსა და რელიეფს, გამოიყენებენ ეროვნულ არქიტექტურულ ფორმებს. ქალაქში არ იქნება არც ერთი უბანი, რომლის მშენებლობაში მონაწილეობა არ მიეღოს მხატვარ-არქიტექტორს, ლამაზი იქნება ახალი ფილარმონიის შენობა, რომელიც 2,5 ათას კაცს დაიტევს, უნივერმაღი და კოოპერაციის სახლი ლენინის მოედანზე.

ვეღარ იცნობთ ქალაქის ძველ ნაწილსაც. მას ხელახლა ააშენებენ, განაახლებენ. ფარღალალა სახლების ადგილას წამოიმართება მაღლივი საცხოვრებელი სახლები. გააშენებენ სკვერებსა და პარკებს, გაიყვანენ ფართო მაგისტრალებს.

ხელუხლებელი დარჩება მხოლოდ ძველი თბილისის კუთხეები, მისი ვიწრო ქუჩებითა და პატარა სახლებით, რაც ისტორიული განძია.

გახსენება

ის სამუშაო დღეც ჩვეულებრივად დაიწყო: ვათვალიერებდი თანამემამულეთაგან მიღებულ ფოსტას და წერილებს შორის წავაწყდი ერთს, რომელმაც უსიამოვნო ზმანებასავით ამიფორიაქა გონება. ფიქრებმა არცთუ ისე შორეულ წარსულში გადამიყვანა...

...1941 წლის 22 ივნისი. რადიორეპროდუქტორებთან შეკრებილი დიდი და პატარა სულგანაბული, გაქვავებული სახით უსმენს დიქტორის ხმას. დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული ომი, რომელსაც ნგრევა, სიკვდილი და უბედურება უნდა მოეტანა მილიონობით ადამიანის ოჯახებისათვის.

გუშინდელივით მახსოვს ყველაფერი: მუხანათური თავდასხმით აღშფოთებული ადამიანების სახეები ქუჩებში, ეზოებსა თუ სახლებში. იმ დღეებში მხოლოდ ომი იყო ყველას სალაპარაკო თემა. ყველას გონებას ერთი საერთო აზრი ალელვებდა და აფიქრებდა.

უფროსთა მღელვარება თანდათან ბავშვებსაც გვედებოდა და მეორე დღეს, როცა სკოლაში მერხებს მივუჯექით, ჩემი ამხანაგების უმეტესობას უკვე მოესწრო საკუთარ თავზე გამოეცადა ომის პირველი დღეების მძიმე განსაცდელი. მტერთან შესახვედრად მიდიოდნენ ჩვენი მამები, ძმები, მასწავლებლები, ახლობლები, რომლებთანაც განშორებას ყოველი ჩვენგანი ძალიან განიცდიდა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვურ გონებას მთელი სიგრძე-სიგანით ვერ წარმოედგინა თავსდატეხილი უბედურების სიმძიმე. ხალხით სავსე ახალ-ახალი ეშელონები კვლავ მიდიოდნენ ფრონტისაკენ. შევყურებდი მიმავალთა სახეებს, მტკიცე ნებისყოფით ანთებულ თვალებს და მჯეროდა — ასეთ ადამიანებს ძალუძთ საკადრისი პასუხი გასცენ ყოველგვარ მტერს, რაც არ უნდა ძლიერი იყოს იგი. შევცქეროდი მათ და ჩემთვის ვბუტბუტებდი: „ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი არ ჰამონ მტრისანი“.

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ფრონტზე მიმავალთა ცრემლმორეული თვალებით გაცილება. მიდიოდნენ ვაჟკაცები და ახალწვეულვაშიღერებული, 19-20 წლის ახალგაზრდები, რომლებიც ტოვებდნენ მშობლიურ ქარხნებს, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, მშობლებს, მეუღლეებს, შვილებსა და ახლობლებს, რათა შეეჩერებინათ მტრის ურდოების შემოსევა. სულმოუთქმელად ვკითხულობდით საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს და ვისმენდით რადიოგადაცემებს ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. შემდეგ... შემდეგ კი სამკუთხა ბარათები ფრონტის ხაზიდან, მუდამ გულისფანცქალით რომ მოელოდა დედა, ცოლი თუ შვილი. წერილებს დაღუპულთა თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ცნობები მოჰყვა. ხან აქ, ხან იქ გაისმოდა შინდარჩენილთა გლოვა-გოდების ხმა.

და აი 1945 წლის მაისი! დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება და დღესასწაული, გმირთა უკვდავება და შინმობრუნებულთა ამაღელვებელი შეხვედრები ახლობლებთან. სიხარულისა და მწუხარების ცრემლებით ხვდებოდნენ ერთმანეთს ფრონტზე და ზურგში განაწამები ადამიანები...

გარდასული ომის დღეები უკვე ისტორიის კუთვნილება ხდება და ადამიანები იწყებენ მშვიდობიან შრომას ქვეყნის აღდგენისა და ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. მაგრამ განა ასე იოლად დავიწყებს კაცობრიობა ჯოჯოხეთს, რომელიც წლების განმავლობაში დემონივით თავს დასტრიალებდა ევროპას და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა? არ დაბრუნდნენ ოჯახის მამები, შვილები და ქმრები, ჯერ კიდევ ახლად შეღერებული ჭაბუკები, რომლებსაც სიცოცხლე და ბედნიერება სწუყოდათ... ნგრევა, ხანძარი, შიმშილი და გაჭირვება, მილიონობით ადამიანის წამება და სიკვდილი გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებში თუ სიკვდილის ფაბრიკებში... ასეთი ყოფილა ომის უმკაცრესი კანონი, და მისი შინაარსი მთელი სიგრძე-სიგანით გაიგო ყველამ, მათ შორის ჩვენც, იმ პატარა ბიჭებმაც, რომლებმაც ომის დასაწყისში ვერ გავიგეთ თავსდატეხილი უბედურების მთელი სიმძიმე.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ვ. მახარაძე ომის საშინელებამ დააშორა სამშობლოს, ახლობლებს და უცხო მხარეში მოახვედრა. მას შემდეგ ოცდაოთხმა წელმა განვლო. ვ. მახარაძე შარშან სამი თვის მანძილზე სტუმრობდა საქართველოში. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი მხარის შესამჩნევმა სახეცვლილებამ, მისმა ახალმშენებლობებმა და იმ გულთბილმა მასპინძლობამ, რაც ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა სამშობლოში ყოფნისას დიდი ხნის განშორების შემდეგ.

აი მისი წერილი, რომელიც სამშობლოში ყოფნის შემდეგ გამოგვგზავნა:

„24 წელიწადი გათავდა, რაც მე სამშობლო, საუვარელი საქართველო არ მინახავს. ომის დამთავრების შემდეგ გერმანიაში ვცხოვრობდი. ამ ხნის განმავლობაში ჩემი სურვილი და ინტერესი იყო საუვარელ სამშობლოში ჩამოსვლა და მისი, აბრეშუმა ჩემი ოჯახის, მოუვარეებისა და მოკეთეების ნახვა. ასეც მოხდა. გერმანიაში საბჭოთა კავშირის საელჩოს ვთხოვე ვიზა სამი თვით სამშობლოში გასამგზავრებლად. მივიღე თანხმობა და 10 ივლისს ჩამოვედი საუვარელ საქართველოში, სადაც დიდი სიხარულითა და სიუვარულით შემხვდნენ ნაცნობ-უცნობები. პირველ დღეს ჩემს ოჯახში 500-მდე მნახველი მოვიდა. ბოლო არ უჩანდა ლხინსა და პატივს.

ამ სამი თვის განმავლობაში საქართველოს ბევრი ქალაქი ვინახულე: თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ჟუთაისი, ფოთი, სამტრედია. მათმა ნახვამ ჩემში დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია. ძალიან მომეწონა თბილისი მისი ახალმშენებლობებითა და ძეგლებით. უკანასკნელ წლებში აქ ბევრი რამ კარგი აშენებულა და გაკეთებულა. მშვენიერი და ლამაზია ქ. რუსთავი, „თბილისის ზღვა“. ღირსშესანიშნავია თბილისის მეტრო, ლამაზი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და ბევრი სხვა ახალმშენებლობანი.

დიდი მადლობელი ვარ ყველასი. ძალიან პატივსაცემი და გახარებული გამოვემგზავრე საქართველოდან.

პატივისცემით **ვ. მახარაძე**“.

იმ დღეს მიღებული აი ეს ბარათი იყო მიზეზი ჩემი გონების აფორიაქებისა, რომელმაც ერთხელ კიდევ გამახსენა წარსული და დამანახვა, თუ რაოდენ საშინელია ომი და მძიმე — მისი შედეგები.

შ. ივანისელი.

ბალები მთაში

ზღვის დონიდან 1.000 მეტრ სიმაღლეზეა მესხეთის ბაღები. აქ ხარობს შესანიშნავი ქართული ჯიშის ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ალუბალი, ბალი. წლითიწლობით იზრდება ბაღების მოსავლიანობა, მათი ფართობები. შარშან 125 ჰექტარზე გააშენეს ხეხილის ბაღები მთაში ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონებმა. დიდი ბაღები გააშენეს ვალეს კოლმეურნეობამ და აწყურის საბჭოთა მეურნეობამ.

ხეხილის უხვმოსავლიანი კულტურების ათეულათასობით ნერგი გადასცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სკრის სადგურმა. სადგურის მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები დიდ დახმარებას უწევენ პრაქტიკოსებს ნერგების მოვლაში, უხვი მოსავლის მიღებაში.

მთის ახალი ბაღების გაშენებაში შესანიშნავი შრომითი წარმატება მოიპოვეს ვანის რაიონის მეურნეობებმა. ხრიოკ ფერდობებზე გაჩნდა ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ბლის ნერგები. მრავალწლიანი ნარგავების გაშენების წლიურ გეგმას რაიონმა ერთიოთხად და მეტად გადააჭარბა — 70 ჰექტარის ნაცვლად 300 ჰექტარი ბაღი გააშენა.

ახალი ბაღები გაჩნდა თიანეთის, ბოგდანოვკის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, ყაზბეგისა და სხვა რაიონების მთებში.

ზამთრის ამ დღეებში მეხილეები საფუძველს უყრიან 1967 წლის მოსავალს, მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყო ბაღების საშემოდგომო-საზამთრო რწყვა. ეს დიდმნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიება ხელს უწყობს ნიადაგში ტენის დაგროვებას და მიწაში მოზამთრე მავნებელთა განადგურებას. იქ, სადაც მორწყვა შეუძლებელია, ნიადაგში ტენის შესანახად და ფესვების ყინვისაგან დასაცავად ნიადაგს ნაკელით ფარავენ. მსხმოიარე ბაღები შეიძლება დაზიანოს გაზაფხულის დილის ყინვებმა. კოლმეურნეები წინასწარ ამზადებენ ყინვებისაგან კვამლით დაცვის საშუალებებს. ბაღის ყოველ ჰექტარზე 50-60 ადგილას დამპალი სიმინდის ჩალა, ნაგავია, რასაც საჭიროების შემთხვევაში წვავენ ხოლმე.

საქართველო
№ 3, თებერვალი, 1967 წ.

შემკვეთთა რიცხვი იზრდება

საქართველოს სსრ. ხალხ. სახლის
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა
თბილისი

თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანას წელს შეემატნენ ახალი შემკვეთები. — ენგლისი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, კუბა, ირანი. საწარმო თავის პროდუქციას გზავნის აგრეთვე ბულგარეთში, ერაყში, ტანზანიასა და სხვა ქვეყნებში.

წარმატებით დაიწყეს კალინინელებმა მიმდინარე წელი. ახლა ისინი ითვისებენ ვიბრაციული ცხაურების და საწმენდი დოლების ახალ მოდელებს, რომლებიც ახლანდელ პროდუქციაზე 20 პროცენტით უფრო მწარმოებლურია.

საწარმოს პროდუქციას ფართოდ იყენებენ მეტალურგიულ ქარხნებში ფოლადისა და თუჯის სხმულის გასაწმენდად, აგრეთვე ყალიბყუთების გამოსაცლელად.

ქარხანაში დიდი მუშაობა წარმოებს სამმპროთმორისო ტრანსპორტირების მექანიზაციისათვის. იდგმება ახალი ტელფერები, სამჭედლო და საქვაბე საამქროები გადაჰყავთ გაზზე, ძველი მოწყობილობა შეიცვლება ახლით. ყველა ეს ღონისძიება ბევრად გაადიდებს შრომის ნაყოფიერებასა და წარმოების კულტურას.

ამას წინათ აქ დაიწყო საჰალტელო დოლების წარმოება, რომლებიც საექსპორტოდ იგზავნება, დაინერგა ინსტრუმენტების ალმასური ალესვა, დადგმულია მძლავრი პნევმატური უროები. კალინინელები ამზადებენ აგრეთვე არასტანდარტულ მოწყობილობას მექანიზებული სამსხმელო ხაზებისათვის, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში იგზავნება.

საწარმოში დიდი ყურადღება ეთმობა ტექნოლოგიის გაუმჯობესებას. მაგალითად, საჰალტელო დოლებზე გაუმჯობესებულია დგამები, საკისრები. ბევრი ლითონის დეტალი შეცვლილია პლასტმასის დეტალებით, რამაც საწარმოს მნიშვნელოვანი ეკონომია მისცა.

შარშანდელთან შედარებით წელს კალინინელები 160 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქციას გამოუშვებენ.



საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს დაარსების 20 წლისთავი შეუსრულდა. ეს თარიღი ფართოდ აღნიშნეს რესპუბლიკაში.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა დიდი საიუბილეო საღამო-კონცერტი.

ქართველ მოცეკვავეებს და ანსამბლის ხელმძღვანელებს — სსრ კავშირის სახალხო არტისტებს ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს (რომლებსაც მარცხენა სურათზე ხედავთ) თქვენ, ცხადია, კარგად იცნობთ. მათ ხომ ცეკვით შეემოიარეს მსოფლიოს 33 ქვეყანა, რამდენიმე ქვეყანაში კი ორ-სამჯერ იყვნენ.



ეშხი ქართული ცეკვისა

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი 20 წლისაა





ცეკვა „ჯეირანი“, ასრულებს სსრკ ხახალხო არტისტი ნინო რამიშვილი.



სურათები. რომლებიც
მარჯვნივ ქვემოთ, გადაღ
გამართულ საიუბილეო საღ
ლოს ხალხური ცეკვის სმწ
კოლექტივი; ზემოთ — ან
მება ცნობილი კინორეჟი
მიხეილ ჭიაურელი. მარ
ოგრაფიულ-თეატრალურიბა
ერთი მომენტი, სოლისტ-
უთმელიძე.



★

სურათზე: მარცხნივ თქვენ ხედავთ ანსამბლის მეგაზრდა სოლისტებს ლატავრა ფოჩიანსა და ფრიდონ სულაბერიძეს, რომლებიც შესრულებენ უფაქიზესი და უმშვენიერესი ქორეოგრაფიული პოემას „ცეკვაულს“. მარჯვნივ — ანსამბლის ქალთა ასრულებს ცეკვებს „ფარცას“ (სურათზე) და „ნარნარას“ (სურათი ქვემოთ)


★







ანსამბლებიდან გადავსებულია მარცხნივ ზემოთ და ანსამბლი გადაღება ოპერისა და ბალეტის თეატრში ლეო სცენ. ქვემოთ — სცენაზეა საქართველოს სახელოვნო დამსახურებული ანსამბლის ი — ანს და მის ხელმძღვანელებს მიესალ- ნორეუ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლი. მარ ქვემო სურათზე ასახულია ქორეოგრაფიული ალურ ანსამბლის — „ქაჯეთის ციხის აღება“ ლისტ- ლატავრა ფოჩიანი და თენგიზ



მეგობრული კონტაქტები

ქართველი და პოლონელი ნევროლოგების მეცნიერული ურთიერთობა

ამას წინათ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ცენტრ კატოვიცეში გაიმართა პოლონეთის ნევროპათოლოგთა VII ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობდნენ სხვა სოციალისტური ქვეყნების მედიკებიც. საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა **საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ბ. ზედგინიძე.**

ყრილობაზე, რომელიც ნერვული სისტემის პროფესიულ დაავადებათა პრობლემებს იხილავდა, **ქართველმა მეცნიერმა წაიკითხა მოხსენება „ვიბრაციული ავადმყოფობის კურორტულ-ბალნეოლოგიური მკურნალობის საკითხის გამო“.**

მჭიდრო მეცნიერული ურთიერთობა აკავშირებთ ქართველ და პოლონელ ნევროპათოლოგებს.

1964 წელს გ. ზედგინიძე იყო პოლონეთში, სადაც მრავალი წლის მეცნიერული თანამშრომლობის შემდეგ დაიდო ხელშეკრულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტსა და ვარშავის სამედიცინო აკადემიის მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ.

პოლონელი მედიკები ქართველი ნევროლოგების ხშირი სტუმრები არიან. საქართველოში ორჯერ ჩამოვიდა ვარშავის სამედიცინო აკადემიის ნერვული დაავადებათა კათედრის გამგე პროფესორი ი. გაუსმანოვა. საქართველოს ნევროლოგიის ინსტიტუტში მუშაობდნენ პოლონელი მეცნიერები ი. რაფალოვსკაია, მ. მანიცკაია, ვ. ხორიდი.

თავის მხრივ საქართველოს ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **პ. სარაჯიშვილი** მონაწილეობდა პოლონეთის ნევროპათოლოგთა VI ყრილობის მუშაობაში.

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ნ. ბარათაშვილი** იყო პოლონეთში, სადაც იქაურ მედიკებს გააცნო საქართველოს ნევროლოგიის ინსტიტუტში კუნთთა ბიოდენების დარგში წარმოებული კვლევის მეთოდები. უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **ვ. გაბაშვილმა** პოლონელ მეცნიერებთან ერთად გამოიკვლია ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაცია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ლაგური

ნოველა

— უყურე ამას! — სთქვა მოხუცმა და ცაბუნიას მხარზე ხელი დაადო: — შენ რომელი აბულაძეების გოგო ხარ, გაღმელებისა და ხვლიკიტლეკიების?

— ხვლიკიტლეკიების. — უგულოდ გამოუტყდა ცაბუნია.

თუ გინდა აბულაძის გოგოს სამუდამოდ თავი შეაძულო, აი სწორედ ეს გაახსენე, მათი გვარიშვილობის დამამცირებელი სახელი. მერე ციდან ვარსკვლავი რომ მოუწყვიტო, იგი შენსკენ არ გამოიხედავს.

ახლა კი ვითომ არაფერი — გულმა საწყენი ადგილად დაიდუღა.

— აბა, პაჭულია აბულაძის შვილიშვილი ხარ შენ? — ჩაიცინა ყარაულმა: — კარგად ვიცნობდი ბაბუაშენს. დიდი წუწურაჭი ვინმე იყო, ცხონებული. ერთხელ სამურზაყანოში ხე-ტყის საჭრელად წამიყვანა და კინაღამ შიმშილით მომკლა. მაგან შეარცხვინა თქვენი გვარი, თორემ მანამდე აბულაძეებს საგინებელ სახელს ვინ აკადრებდა! იცი, რა ჰქნა ბაბუაშენმა? ხე-ხე-ხე...

იცის, როგორ არ იცის. ერთხელ ყანაში სადილი რომ მიუტანეს, ლობიოს ქოთანში თურმე ხვლიკი ჩაუვარდა.

პაჭულიამ არც აცივა, არც აცხელა, ლობიოში ამოვლებულ ხვლიკს ხელი სტაცა და პირში გამოისვარ, ხმა დაუგდეს მეზობლებმა.

„არც შენი მინდა, არც ჩემსას გაგატან!..“ — ჩაიბურდღუნა და ხვლიკი გვიმრებში გადააგდოო...

ასე იყო თუ ისე, იმ დღიდან კი შეარქვეს პაჭულია აბულაძეს ეს საჯაყი სახელი — ხვლიკიტლეკია.

— ფეხის ნაბანი წყალი რომ გეთხოვა, იმას არ გაიმეტებდა მეზობლისათვის! ხე-ხე-ხე.

მეტისმეტი სიამოვნებისაგან მოხუცმა ერთი დაიკრუსუნა და სიცილისაგან აცრემლებულ თვალებში მუჯი ამოისვა.

მერე რატომღაც ხელი ჩაიქნია, სული მოიბრუნა და სთქვა:

— რა ვქნათ ახლა! რომ არ ვიცით, ის კაცი რომელ პალატაში დააწვინეს!

— ერთი რომ შევხედო, მაშინვე ვიცნობ, იმისთანა წითელი ულვაშები აქვს! ორ სიტყვას ვეტყვი და გამოვალ, არ შევაწუხებ.

— არა, შვილო, მე რომ გაგიშვა, იქ მაინც გაგაჩერებენ და მეც საყვედურს მეტყვიან... შენ აქ მომიცადე. მე წავალ და მორიგე ექიმს ვნახავ.

ჭიშკარს ურდული გაუყარა და წავიდა.

კარგა ხანს შეაგვიანდა. ცაბუნიას გული ცხრაჯერ გაეპარა, სანამ ყარაული დაბრუნდებოდა.

— ეგერ ხედავ, ხეივნის ბოლოში ქალი რომ დგას, — სთქვა მოხუცმა და ცაბუნია დაფნის ბუჩქებისაკენ მიაბრუნა: — გუშინდელებს ის გაჩვენებს. აბა გაიქეცი.

მედიცინის სამსახურის კაპიტანს ამხანაგ იოსელიანს

ამხანაგო კაპიტანო, ამ ბარათს გწერს უფროსი სერჟანტი არჩილ მესხი მეორე ქირურგიული პალატიდან.

არ მინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ რა ვქნა, ჩემი საქმე ისე წავიდა, ამ ჰოსპიტალში აღარ დამედგომება. რამე უნდა მისაშველოთო და სხვაგან გადამიყვანოთ, არ დავეძებ, სადაც იქნება, ოღონდ კი ამ ქალაქს მომაცილეთ.

თქვენ შეიძლება ჩემი სათხოვარი ავადმყოფი კაცის ჭირვეულობად მიიჩნიოთ, საქმე გამოლევია და ჭკუას ძალას ატანსო, მაგრამ ნუ დაიზარებთ, ეს წერილი ბოლომდე წაიკითხეთ და შემდეგ გამასამართლეთ.

თქვენ ალბათ იცით, რომ ჩემთან ხშირად დადის პატარა გოგო ცაბუნია. იმ საწყალს ჰგონია (და სხვებიც დარწმუნებული არიან) რომ მე მამამისის მეგობარი და ფრონტელი ამხანაგი ვარ.

სამწუხაროდ, ეს ასე არ არის.

ცაბუნიას მამა მე თვალითაც არ მინახავს, არც ფრონტზე და არც სხვაგან. მისი სახელი და გვარი პირველად აქ გავიგონე, სამტრედიის სადგურზე, როდესაც ცაბუნია დაჭრილებს მამის ამბავს ეკითხებოდა.

ვხედავ — ჩვენი ვაგონის კიბესთან პატარა გოგო დგას. ხეს ტოტი რომ მოტყდება და ზედ მიაჭკნება, ასე საცოდავად მობუზულა და ცრემლს ჩუმად ყლაპავს.

გული ამიდუღა ამ სურათმა, და მეც ბევრი აღარ მიფიქრია, დავუძახე და ვუთხარი, მე ვიცნობ ვალიკო აბულაძეს, ამას წინათ ვნახე და კარგად არის-მეთქი.

შეიძლება შევცდი, არასწორად მოვიქეცი, ამხანაგო კაპიტანო, მაგრამ იმ წუთში მე ისე მინდოდა მისი გახარება, დანუგეშება... აზრადაც არ მომსვლია, თუ ის ორი სიტყვა ამ ცეცხლში ჩამაგდებდა.

ეს მოხდა იმ პარასკევს.

მეორე დღეს ჭრილობა გამიშუქეს და ექიმს ვესაუბრები — უცებ კარი გაიღო და პალატაში დაბარებულივით ცაბუნია არ შემოვიდა?!

დამინახა თუ არა, გახარებული მომვარდა.

— მიცანი, ბიძია? მე ვალიკო აბულაძის გოგო ვარ. — მითხრა და ხელი ჩამომართვა.

საქციელი წამიხდა. „გიცანი პატარა ქალო, როგორ არ გიცანი, მაგრამ რა გიყო ახლა, მეტი სათქმელი რომ არაფერი მაქვს! — გამიელვა თავში.

— გუშინ როგორ დავიბენი, ბიძია! მამის ამბავი კარგად არც კი მიკითხავს. ლაპარაკით ხომ არ შეგაწუხებთ?

რა მექნა, გამოტეხილად მეთქვა, მამაშენს არ ვიცნობ-მეთქი? მაგრამ მის თვალებს რომ შევხედე, ტანში ამბურძგნა. ის თვალები ისე ბრწყინავდნენ და ჩემგან იმდენ სიხარულს ელოდნენ, რომ სიმართლის სათქმელად ენა აღარ მომიბრუნდა.

— დაჯექი, გენაცვალე, — ესღა ვუთხარი და სკამიდან წამლის შუშები გადავალაგე.

კიდეზე ჩამოჯდა, ერთი შემომცინა და სმენად გადაიქცა.

მე ჯერ ქინა ამოვიღე და ერთი-ორი წუთი პაპიროსის გაწყობას მოვანდომე, მერე ასანთს დავუწყე ძებნა, მაგრამ სანამდე გინდა ეძებო! ცაბუნია თვალებში მომჩერებია...

სული მოვიკრიბე, ერთ უძირო გუდას თავი მოვხსენი და იქიდან რა არ ამოვალაგე! ჩემი და ვალიკო ჯუღაშის პირველი შეხვედრა, ჩვენი დაძმობილება, თუ როგორ გაითქვა სახელი მამამისმა ფაშისტებთან ბრძოლაში...

ცაბუნია გახუსული მისმენდა. ბოლოს სთქვა:

— კი მარა, ამდენ ხანს ერთი სიტყვა რომ არ მოიწერა, ნეტავი რას ფიქრობს, დედაჩემი არ ეცოდება?!

მოდი და გაეცი პასუხი ამ კითხვაზე. არადა, გაჩუმებაც არ შეიძლება.

— ყური დამიგდე პატარა ქალო, — ისევ ქინა ამოვიღე და სანამ თუთუნს შევახვევდი, ფონიც ვიპოვნე: — ზოგჯერ ჯარისკაცს საგანგებო დავალებას მისცემენ და სადმე შორს გაგზავნიან. იქიდან არამცთუ წერილს, მოკითხვასაც ვერავის დაბარებ! ან შეიძლება გზაში ფოსტა დაბომბეს. ომია, რას იზამ!

...ასე გავება მახეში, ამხანაგო კაპიტანო. ეს პატარა გოგოც ისე შემეჩვია და მომეწონა, თითქოს მისი ღვიძლი ნათესავი ვიყავი. ხან მარტო შემოვა პალატაში, ხან პატარა ძმას მოიყვანს... გუშინ სკოლის ამხანაგები დამაყენა თავზე, გაიგონეთ, რა მამა მყოლიაო... მერწმუნეთ, ამხანაგო კაპიტანო, დილას რომ გავიღვიძებ, მეტს ჯარაფერს ვფიქრობ: დღეს ცაბუნია მოვა და მზად უნდა დავხვდე. და მეც ვწევარ და ვთხზავ მამამისის გმირობის ამბებს. ვალიკო აბულაძემ ტანკს ცეცხლი წაუკიდა. ვალიკო აბულაძემ დაჭრილი ამხანაგი გადაარჩინა. ვალიკო აბულაძემ ტყვე მოიყვანა...

დავიღალე, ამხანაგო კაპიტანო. არ შემიძლია ამდენი გამოგონება. თანაც მეშინია, არაფერი ავურ-დავურიო, არაფერი შემეშალოს, თორემ ეს ჩემი გუდა ხელად დაიფშუტება და ყველაფერი გამოაშკარავდება. მერე ცაბუნია?

ისევ მე წავალ ამ ქალაქიდან. ასე ჯობებს. ცაბუნია კი ელოდოს მამას... ომში ყველაფერი მოსავალია, ზოგჯერ კაცს გამოიტირებ, ჯვარს დაუსვამ, მერე ერთ მშვენიერ დღეს გაიხედავ და... ის კაცი აგერ არ მოდის ცოცხალი და ტანმრთელი!



მცირე აკადემია

თბილისში არის „მცირე სამხატვრო აკადემია“, სადაც უკვე 8 წელია სწავლობენ ფერწერას. იგი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ერთ-ერთ ნათელ ოთახშია მოთავსებული. აქ 170 ბავშვი სწავლობს.

ფერწერის კაბინეტი 1941 წელს შექმნა გამოცდილმა პედაგოგმა გრიგოლ მესხმა. 25 წლის განმავლობაში ეს თავისებური შემოქმედებითი სახელოსნო უმშადებს კადრებს თბილისის სამხატვრო აკადემიას. პიონერთა სასახლეში ფერწერას სწავლობდნენ გ. თოთიბაძე, გ. გელოვანი, ი. ყიფშიძე და სხვა ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრები.

ყოველწლიურად „მცირე აკადემიის“ აღსაზრდელები მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენაში — საქალაქო, რესპუბლიკურ, სრულიად საკავშირო გამოფენებში. მაგალითად, ბავშვთა მხატვრული ნამუშევრების რესპუბლიკურ გამოფენაზე შარშან ფერწერის კაბინეტის აღსაზრდელებმა 40 სურათი წარადგინეს. ექვსი მათგანის შემოქმედება მედლებით აღინიშნა. რამდენი საინტერესო და ორიგინალური ნამუშევარი მოამზადეს ბავშვებმა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის!


ნორჩ მხატვართათვის განსაკუთრებითი წარმატებითი იყო 1965 წელი. ბავშვთა საერთაშორისო გამოფენაზე მათ გააგზავნეს 100 სურათი. ყველაზე ნიჭიერი აღმოჩნდა თბილისის 82-ე საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე სერგი ჯაიანი. მსოფლიო გამოფენის — „ჩემი სამშობლო — ჩემი სახლი“ — ჟიურიმ მას მიანიჭა ბრინჯაოს მედალი ნაწარმოებისათვის „მოფარიკავენი“, „ნადირობა სპილოებზე“, „კალათბურთი“.

გაიზლის ცოტა ხანი, და კვლავ დადგება სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდების დრო, გამოფენების დრო, ხანა. და კვლავ ღირსეულთა შორის ნახავთ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფერწერის კაბინეტის აღსაზრდელებს.

*) დასასრული, დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 1, 2, 1967 წ.

დედა დაჰყურებს დედაქალაქს

გიორგი შატბერაშვილი



ბევრი მიფიქრია თბილისზე, მის მდებარეობაზე. მის სილამაზეზე... აღიარებულია ამ ძველი და მარად ახალი, მტკრთაგან ხშირად დანგრეული, მაგრამ ისევ ფენიქსებრ აღმდგარი ქალაქის თავისებური სილამაზე. ბევრს შეუქია მისი წარმტაცი ბაღები თუ ირგვლივი მთები, მისი განთიადისა თუ შეღამების ჰშხიანობა, მარგებელი ჰაერი, გასახედ-გამოსახედი, ვარდისფერ ღრუბლებში დაკიდული მყინვარი, გამჭვირვალე ნისლში ზედაზნისა თუ თრიალეთის კალთები.

ბევრი თქმულა, ბევრიც ითქმის, მაგრამ ეს ყველაფერი წყაღობაა, ოდითგანვე ბუნების ბოძებული. არ კმარა მხოლოდ ბუნების ჯილდო, თუ მას კაცის მარჯვენა არ დაეშველა, თუ ნირი არ უცვალა ბუნების ნამოქმედარს, თუ თავისი ბეჭედით არ დაასრულა ბუნების თვითქმნილი მშვენიერება... ასე დაამშვენა წარსულში ადამიანის ხელმა ისნის მაღალი კბოდეები მეტეხით, ნარიყალას ქედები მიუვალი ციხე-გალავნებით.

ხშირად დაფიქრებულვარ იმაზე, რა უფრო დაამშვენებდა თბილისს, განსაკუთრებით კი მთაწმინდას, რომლის გადაქცევა ჩვენი დედაქალაქის დამამშვენებლად უკვე დაწყებულია და დიდი მომავალიც აქვს... მთაწმინდა, როგორც თბილისის შემოგარენთა პოეტური ადგილი, წმინდა ფიქრთა მთა, ქართველი ხალხის გულში ბარათაშვილმა დაამკვიდრა თავისი უკვდავი ლექსით „შემოღამება მთაწმინდაზე“. მთაწმინდა უბარათაშვილოდ წარმოუდგენელია, ის არის ამ ქართული პარნასისა და მყუდრო სავანის აღმომჩენი, ამიტომ ამ ადგილის მუდმივი ემბლემა ბარათაშვილის პოეტური სამყაროდან უნდა მოდიოდეს.

ამგვარი ფიქრების დროს მეჩვენებოდა მთაწმინდის ქედზე ალანძული თეთრონი — ბარათაშვილის მერანი... ვერ ვიტყვი კონკრეტულად, რომელ ადგილას, მაგრამ უთუოდ მთაწმინდაზე, მთელი თბილისის დასანახად აღმართული თეთრი მონუმენტი მოსვენებას არ მაძლევდა. ამ აზრს დიდხანს ვატარებდი გულით, მინდოდა რომელიმე ოსტატისათვის გამეხედო, მაგრამ აი თბილისის 1500 წლის ზეიმის დღეებში ნარიყალას ქედზე გამოჩნდა მაღალი ქალი, რომელმაც ყველას თვალი მიიზიდა.

დგას ნარიყალაზე მაღალი, თეთრი ქალი და თბილისს გადმოსცქერის. მარჯვენა ხელით გამოშვერებული ხმალი უპირავს, მარცხენით ფიალა. მთელი მისი ფიგურა მზადყოფნას გამოხატავს: ხმლით მტერს გადაუღობოს გზა, მოყვარეს ბადაგითა თუ ქართული ღვინით შეხვდეს და უმასპინძლოს.

გამოჩენის პირველი დღიდანვე გადაიქცა იგი თბილისის ემბლემად, იქცა მის განუყოფელ ნაწილად, შეეზარდა ძველ ნარიყალას, მის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ გაჭიდებთან ჩაუშვა ფესვები და მის სიძლიერეს დაემყარა.

ეს არის ის, რაც უნდა ყოფილიყო. არ იყო, უნდა ყოფილიყო და არის. ახალ კარგ ლექსზე პოეტები იტყვიან. ეს ის ლექსია, რომელიც უნდა დაწერილიყოო. ეს ძეგლიც ის ძეგლია, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა აღმართულიყო თბილისის თავზე. ეს არის ღირსება ამ ძეგლისა. ეს ერთი შეხედვით უბრალო მონუმენტი აუცილებლობამ წარმოშვა, მხოლოდ ის არის მყარი, რასაც ამგვარი ნიადაგი აქვს. ამიტომ ახლა ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ თბილისს არ გადმოჰყურებდეს ეს თეთრი ქალი. ამ ძეგლით წარმოსახული აზრი ერთნაირად გასაგებია და მისაღებია ყველა პატრიოტი თბილისელისათვის. ქართველი ინტელიგენტისა თუ საქართველოს რომელიმე რაიონიდან ჩამოსული ჯოელმურნალისათვის.

ნამდვილი შემოქმედის ენა ყველასათვის გასაგები უნდა იყოს.

ამ თვალსაზრისით ეს ძეგლი ყველასათვის მისაწვდომია, ყველას შეუძლია იგრძნოს ამ მონუმენტის არსი, მიზანი და ოცნება. უაღრესმა ეროვნულობამ და ხალხურობამ გახადა მხატვრის ენა ყველასათვის გასაგები და მისახვედრი, მისი მხატვრულობა და შინაგანი სიმაღლეც აქედან მოდის.

ქართველის დედა უწოდა ნიჭიერმა მხატვარმა ამ ქალს.

ამ ქალს პირველად რუსთაველმა მისცა ხელში ხმალი და ყველას გასაგონად ბრძანა: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიო.

ჩახრუხაძემ და შავთელმა შეჰკადრეს ჭაბა, აკაკიმ ნათელა უწოდა ამ ქალს, ვაჟა? — ლელა... მუხრანის ველზე ამ ქალმა შეაჭიდა თავისი ქმარი მოძალადე ყივჩაღს...

ამ ქალის წინაპარნი და დიდიდედები იყვნენ ვაჟკაცად გადაცმული წყნეთელი და ვაშლოვანელი მაიები, მჭადიჯვრელი და ბებრისციხელი დედაბრები, რომლებიც თავიანთი ჰაღარა ქმრებისა და ჭორწიანი ბიჭების გვერდით იხოცებოდნენ... ქართლის შუაგულში მტრის შიშით დედაკაცს უვაჟკაცოდ ვერ გაეკლო და თუ დროებით მშვიდობა ჩამოვარდებოდა, ისტორიკოსიც არ აყოვნებდა და სიამოვნებით აღნიშნავდა: „დაე ესრეთ დამშვიდდა ქვეყანანი, რომელ ღართის-კარსა შინა და დიაცნი თვინიერ მამაკაცისა ვიდოდნენ“-ო.

ეს დედაკაცები მოძალებული მტრის შესამუსრად საარაკო საქმეებს სჩადიოდნენ...

ილიას ჰავჰავაძემ თავისი გენიის შესაფერი მხატვრული გვირგვინი დაადგა ამ ქალებს და მათ ქართველის დედები დაარქვა, მან თითქოს შეკრიბა, შეაჯამა და ერთ ძნად შეკრა თავისი წინაპარ თუ თანამედროვე პოეტთა ნათქვამი და ქართულ ენაში ერთბაშად დააკანონა გამოთქმა „ქართველის დედა“. ამით მან სამუდამოდ ამაღლა ქალის ღირსება და პატივისცემა.

ქართველის დედა...

ქართველის დედა პირველად ილიამ აქცია საქართველოს ემბლემად და ალბათ ოცნებით სჭვრეტდა კიდეც მის მაღალ ქანდაკებას, მისი საფლავიც ხომ ამ ემბლემით არის დამშვენებული.

დგას თეთრი, მაღალი ქალი — „ქართველის დედა“ თბილისის თავზე და საოცრად გაზრდილ ქალაქს გადასცქერის. ქვემოდან, ახალი საქართველოს გულიდან, ხმაური და ჯაცთა ჭრიამული სწვდება მის ყურს. მტრის ყიჟინი აღარ ისმის ნარიყალასთან. სამყაროდ მოსულებისკენ აქვს გაწვდილი ბადაგით სავსე ფიალა და თუ კვლავ აიმღვრა ზეცა, ახლა მის მარჯვენაში დაბღუჯული დაუძინარი ხმალი იღლვებს.

უყურებ და გიხარია, რომ „ქართველის დედის“ ეს შესანიშნავი სკულპტურული გამოსახულება შეიქმნა შენს დროში, რომ ნიჭიერმა მხატვარმა და მოქანდაკემ ელგუჯა ამაშუკელმა თავის ოცნებას შესაფერი ადგილი — ძველი ნარიყალას ქედი მიუჩინა სადგომად.

პასუხად გაიოზ დიდებულიძეს

რაცა გული არა გულობს

ყველას აქვს უფლება ხელოვნების ამა თუ იმ მოვლენაზე ან საგანზე თქვას: „მომწონს“ ან „არ მომწონს“, „მიყვარს“ ან „მძულს“. **ამის გამო მას** არავინ ჩაჰკითხავს და ჩაეძიება, არავინ მოსთხოვს განმარტებას, რადგან აქ საქმე ჩვენს გრძნობებსა და ემოციებს ეხება.

მაგრამ როცა რაიმეზე ამბობ — კარგია ან არ ვარგაო, აუცილებლად საბუთიც უნდა გქონდეს შენი მოსაზრების დასამტკიცებლად, რადგან ამჯერად უკვე ახსნა-განმარტებას მოგთხოვენ — რატომ, რისთვის, რა საბუთის ძალით, მით უფრო, თუ საქმე ხელოვნების ნაწარმოებს ეხება. მარტო სალანძღავი ფრაზებით აქ ვერაფერს გახდები. პირიქით, რაც უფრო მძაფრ გამოთქმებს იხმართ ლანძღვა-გინებისათვის, მით უფრო მტკიცე და ურყევი უნდა იყოს დამამტკიცებელი საბუთები.

მაგრამ ზოგადი საუბარი რომ არ გაგვიგრძელდეს, ჯობს მკითხველს ამთავითვე ავუხსნათ საქმის ვითარება. ლაპარაკია მხატვარ ელგუჯა ამაშუკელის სკულპტურულ ნაწარმოებზე — „ქართველი დედა“. ეს გახლავთ რამდენადმე სიმბოლური-ალეგორიული ფიგურა, რომელიც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის 1500 წლისთავთან დაკავშირებით აღმართა თბილისის თავზე.

ეს არის სავსებით ნათელი და გასაგები გამოსახულება *ქართველი ქალისა, რომელსაც* ცალ ხელში ხმალი უჭირავს, მეორეში ღვინით სავსე თასი, თითქოს ამბობდეს: თუ სამყაროდ მოსულხარ, მობრძანდი, შენი გულლია მასპინძელი ვიქნებით; თუ მტრობა გიდევს გულში, ფრთხილად, მტრის დახვედრაც ვიცით!

შეჰყურებ ამ დიდებულ ფიგურას და გრძნობ — ეს ნამდვილად ჩვენი დედაა, ჩვენი ხალხის დედა, მრავალჭირვარამგამოვლილი, მაინც მუდამ გაუტეხელი და მანდილშეუფარებელი.

შეჰყურებ და გკვირა — ეს ის ქალია, ვინც რუსთაველი და პეტრიწი, ვახტანგ გორგასალი და დავით აღმაშენებელი, არაგველები და ცხრა ძმა ხერხეულიძეები გამოუზარდა სამშობლოს, ეს ის ქალია, ვინც ჩვენამდე მოიტანა სისხლი და თესლი, სული და ხორცი ჩვენი ხალხისა.

ე. ამაშუკელის „დედას“ არც ქალური სათნოება აკლია, არც ვაჟკაცური შემართება. იგი ამაყია და მტკიცე, როგორც მეფე თამარი, მომთმენი და გაუტეხელი, როგორც ქეთევან დედოფალი.

ყოველივე ეს ისე უბრალოდ და ნათლად, ისე ხელშესახებად არის გამოსახული ქანდაკებაში, შეუძლებელია ადამიანმა ეს ერთი შეხედვითვე არ იგრძნოს და არ დაინახოს, მით უფრო ქართველმა კაცმა.

და რაოდენ გაგვაოცა ვინმე გაიოზ დიდებულიძის მიერ ავსტრალიიდან, ქალაქ სიდნეიდან გამოგზავნილმა ლექსმა, რომელიც მას ელგუჯა ამაშუკელისა და მისი ამ ქანდაკების ლანძღვა-გინებისათვის მიუძღვნია. ლექსს ვამბობთ, თორემ რა უგვაზე ლექსს ასეთ სტროფს:

გლადიატორს მიამგვანე,
ხელში მიე ხმალი.
ვის უნახავს ჯალათობდეს
დედა, სათნო ქალი.

მაგრამ დავანებოთ თავი პოეზიას და გამოთქმის სილამაზეს (სამშობლოდან გადახვეწილ კაცს დედაენის უცოდინარობაც უნდა ვაპატიოთ, მეტი რა გზაა) და შევეცადოთ აზრი მაინც გამოვიტანოთ ამ სტრიქონებიდან.

ხელში ხმალი მიეცი და ამით დედა გლადიატორს დაამსგავსე, ჯალათად წარმოგვისახეო, — რამდენადაც გავიგეთ, მგონი ამას საყვედურობს გ. დიდებულიძე მოქანდაკეს.

ხელოვნების ნაწარმოები და ზოგჯერ უბრალო საგანიც სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვანაირ ასოციაციებს იწვევს, მაგრამ არა გვგონია ე. ამაშუკელის — „დედა“ გ. დიდებულიძის გარდა ვინმეს ჯალათად და კაცისმკვლელად მოლანდებოდეს.

მხოლოდ იმიტომ, რომ ქალს ხელში ხმალი უჭირავს, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ის ჯალათია?!. არა, ხმალი როგორ შეიძლებაო, — აღშფოთებას ვერ მალავს დიდებულიძე და იქვე დასძენს:

ქართველის დედას უნდა ეპყრას
ხელში წმინდა ჭვარი,
მის იარაღს წარმოადგენს
მხოლოდ ვაზის ჯვარი.

აი თურმე როგორი ყოფილან ჩვენი დედები! ქნარი და ვაზის ჯვარი ეჭირათ ხელში და დადიოდნენ თურმე ლოცვითა და სიმღერით.

ბოდიშს მოვიხდით, გაავსტრალიელებულო გაიოზ, მაგრამ ჩვენ, საქართველოს შვილებს ცოტა სხვანაირად გვესახება ჩვენი წინაპრების, ჩვენი დედების ბედი და ცხოვრება. თუმცა არც თქვენ გამტყუნებთ: მშობლის ღვაწლი ღირსეულად რომ დაფასო, უწინარეს ყოვლისა თვით შენ უნდა იყო შენი ერისა და ქვეყნის ღირსეული შვილი, და სრულიადაც შემთხვევითი არ არის, რომ მშობელს დედა და ჯალათად და კუდიან ქალად გეჩვენებათ.

კუდიან ქალს მომაგონებს,
არ აქვს დედის ფასი,
რისთვის უნდა ქართველ დედას
ზხამით სავსე თასი.

პირდაპირ საოცარია, საიდან მოსდის დიდებულიძეს ასეთი აზრები. კუდიან ქალს რა ნიშნის მიხედვით მიამსგავსა ეს მშვენიერი ფიგურა ან შხამით რატომ გაუვსო თასი!

აი კიდევ ერთი „სტროფიც“ გ. დიდებულიძის „ლექსიდან“:

ეგ ნათითხნი არ გეგონოს,
რომ იყოს ნაყურთხი,
შენი თვალით დაინახავ,
მას წარეცხავს ფურთხი.


მგონი ამ სტრიქონებს კომენტარი უკვე არ სჭირდება. მხოლოდ ერთს დავუმატებდით: ხელოვნების ნაწარმოების გაგებისათვის უწინარეს ყოვლისა გული საჭირო, შენი ხალხისა და შენი სამშობლოს მოსიყვარულე გული.

ბოლოს, ამ შენიშვნას იმით დავამთავრებთ, რითაც დავიწყეთ: ყველას აქვს უფლება უბრალოდ თქვას — „მომწონს“ ან „არ მომწონს“, მაგრამ ფურთხის ღირსიაო, რომ თქვა, ეს მეტისმეტად კადნიერებაა და ამას დამტკიცება უნდა.

თუმცა რა დიდი ლარი და ხაზი უნდა — ამ „ლექსიდან“ შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა გამოვიტანოთ: ასეა, როცა გული არა გულობს, როცა კაცი გადაჭიშდება და გრძნობის მაგივრად ღვარძლი ალაპრაკებს.

მ. ქართველიშვილი.

ყ. 16/27 [0-20]



ძველი და ახალი თბილისი.

ელექტროენერგია მთის სოფლებს

სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტის „სოფლელექტროს“ საქართველოს განყოფილებაში შეადგინეს რესპუბლიკის სოფლის რაიონების ელექტრიფიკაციის ახალი პროექტები. ეს პროექტები ითვალისწინებენ საჩხერის რაიონის მაღალი მთის სოფლების ელექტრიფიკაციასა და ონის რაიონის სოფლების მთისკალთის, ზემო ბარის, ქვემო ბარის არსებული ელექტროქსელების რეკონსტრუქციას.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ინჟინერმა ა. გველესიანმა თქვა:

— რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და „საქმთავარნერგრომ“ ჩვენგან უკვე მიიღეს რესპუბლიკის მაღალი მთის სოფლების ელექტრიფიკაციის 20-ზე მეტი პროექტი. მალე გადავცემთ კიდევ 120 პროექტს. მათ შორის ყაზბეგის რაიონის 14 სოფლისა და დუშეთის რაიონის ფშავის არაგვის ხეობაში მდებარე სოფლების ელექტრიფიკაციის პროექტებს. დაიწყო აგრეთვე ზემო სვანეთის ელექტრიფიკაციის პროექტების შემუშავება. ჩვენი პროექტების მიხედვით მიმდინარე, საიუბილეო წელს, ძირითადად დამთავრდება რესპუბლიკის სოფლების ელექტრიფიკაცია.

ინსტიტუტის კოლექტივმა დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე მთის პირობებისათვის ელექტროქსელების დაპროექტებისა და მშენებლობის გამოცდილების განზოგადებისათვის.

პატარა მუსიკოსის დიდი ოცნება

რაც თავი ახსოვს სულ მუსიკას თხზავს. გოგონა ოთხი წლისაც არ იყო, როცა თავის ნაწარმოებებს უკრავდა. მაშინვე, ოთხი წლისამ, პირველად მოისმინა ოპერა „დაისი“ და დამოუკიდებლად შეასრულა მისი უვერტიურა.

იმ წელს ბევრმა გაიცნო ნორჩი პიანისტი ნინო ქათამაძე პირველი გამოხმაურებით, რომლებიც რესპუბლიკურ პრესაში იბეჭდებოდა. ერთი წლის შემდეგ კი მისი სახელი საზღვარგარეთაც გაიგეს. ინგლისისა და საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებში წერდნენ ოთხი წლის კომპოზიტორი გოგონას შესახებ, წერდნენ, რომ მან უკვე ბევრ მსმენელს გააცნო თავისი ნაწარმოებები, რომ მას აქვს დიდი ოცნება — გახდეს მუსიკოსი. ახლა ნინო ქათამაძე 10 წლისაა. იგი ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის IV კლასის მოსწავლეა (რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ს. ნ. გაბუნიას კლასი).

იგი კვლავინდებურად თხზავს მუსიკას. მან უკვე დაწერა ორმოცდაათამდე ნაწარმოები: საფორტეპიანო პიესები, სიმღერები, ვარიაციები ვიოლინოსათვის. მისი უკანასკნელი ნაწარმოებია პიესები „საბავშვო ალბომისათვის“.

ნინოს მუსიკა თითქმის ყოველთვის მხიარული და ხალისიანია იმიტომ, რომ იგი ყველა სხვა ბავშვივით გრძნობს ყოველდღიური ცხოვრების სიხარულსა და ბედნიერებას. ახლა იგი უნდა დაეუფლოს ამ სილამაზის გადმოცემას. ამ ხელოვნებას მას ასწავლის ა. ვ. შავერზაშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს მეცადინეობას კომპოზიციაში.

ნინოს კომპოზიტორებიდან ყველაზე უფრო ბახი და ბეთჰოვენი უყვარს. უკრავს ბევრს, გატაცებით...

ლამაზი, მძლავრი, მგზნებარე აკორდი. ეს ბახია. ჩვენ არც კი გვჯერა, რომ კლავიშებს ბავშვის თითები ეხება...

ცნობისმოყვარეთა კუთხე

როგორია პლუტონის მასა?

პლუტონი მეცხრე, მზისაგან ყველაზე დაშორებული პლანეტაა. მისი ზედაპირიდან მზე ვარსკვლავებისაგან მხოლოდ ელვარებით განსხვავდება, რომელიც 150-450-ჯერ აღემატება მთვარის სიკაშკაშეს. პლუტონის ატმოსფეროდან მხოლოდ 36 წელი გავიდა, კაცობრიობამ დღემდე ბევრი რამ არ იცის მეცხრე პლანეტის შესახებ. ეს გასაგებიცაა. პლუტონი ისე შორსაა დედამიწისაგან, რომ ყველაზე ძლიერ ტელესკოპშიც კი იგი პატარა ვარსკვლავად მოჩანს. გარდა ამისა, პლუტონი 100-150 წელიწადში ერთხელ უახლოვდება თავის მეზობელ ურანს, ნეპტუნს კი 500 წელიწადში ერთხელ. მხოლოდ ამ დროს შეუძლიათ ასტრონომებს ურანზე ამ შორეული პლანეტის ზეგავლენის მიხედვით განსაზღვრონ პლუტონის ზოგიერთი ფიზიკური თვისება და კერძოდ, განსაზღვრონ მისი მასა.

ასტრონომების აზრით მეცხრე პლანეტის მასა დაახლოებით დედამიწის მასის ტოლია. პლუტონის მასა ასეთი რომ იყოს, მეტად დიდი სიმჭიდროვე ექნებოდა, რაც არ შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას ნივთიერებათა თვისებებზე.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. კილაძემ გამოიანგარიშა, რომ დედამიწის მასა თითქმის 14-ჯერ აღემატება პლუტონის მასას.

ამის დასადგენად მეცნიერმა რთული ამოცანის ამოხსნისათვის გამოიყვანა ფორმულა, რომელიც პლანეტის წარმოშობის შესწავლის დროს გამოიყენა. ამ ფორმულით შეიძლება გამოვიანგარიშოთ ღერძის გარშემო პლანეტის ბრუნვის სიჩქარე, მასა, დიამეტრი, ან მანძილი მზემდე.

კილაძის მეთოდი დაფუძნებულია შმიდტის ცნობილ ჰიპოთეზაზე, რომ პლანეტები მეტეორებისაგან წარმოიშვნენ. მზის გარშემო კოსმოსში მბრუნავი ეს პატარა ციური სხეულები შეჯგუფდებოდნენ პლანეტაზე, რომელიც ისის იყო იქმნებოდა. ისინი ერთმანეთს ეწებებოდნენ და პლანეტაზე ცვიოდნენ. ამის შედეგად ციური სხეული იზრდებოდა, იძენდა გარკვეულ ზომასა და ფიზიკურ თვისებებს. ასტრონომმა გამოიანგარიშა პლანეტაზე დაცემული მრავალი მეტეორის ტრაექტორია და განსაზღვრა თუ რა გავლენას მოახდენდნენ ისინი პლანეტის ჩანასახზე. თუმცა ასეთ გაანგარიშებას სხვა მკვლევარებიც აწარმოებდნენ, მაგრამ რ. კილაძემ დაადგინა, რომ მის წინამორბედებს გამოანგარიშებისას არ გაუთვალისწინებიათ წარმოშობილი პლანეტების მიზიდულობის ძალა. ამიტომ დასკვნები პლანეტის ღერძის გარშემო ბრუნვის სიჩქარეზე განსხვავდებოდა დაკვირვებებისაგან.

ყირიმში პლუტონის შესწავლის შედეგად კილაძემ დაამტკიცა, რომ ამერიკის კონტინენტიდან გაზომილი მეცხრე პლანეტის დღე-ღამე დედამიწის 6,39 დღე-ღამეს უდრის. გამოანგარიშებამ გვიჩვენა, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს ამ პლანეტის დღე-ღამის ხანგრძლივობა, რომელსაც მცირე მასა და ზომა აქვს. ეს ნიშნავს, რომ პლუტონი მზის სისტემის პლანეტების ოჯახის სრულუფლებიანი წევრია და არა ნეპტუნის ყოფილი თანამგზავრი, როგორც ზოგიერთ ასტრონომს ეგონა.

პლუტონის შესწავლა იმ დროს, როცა იგი ყველაზე ახლოს ჩაუვლის ურანს, რაც 1968 წელს უნდა მოხდეს, გვიჩვენებს, თუ რამდენად სწორია კილაძის თეორიული მოსაზრებანი.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

კომუნისტი საქართველო

საბჭოთა ვისაძაკთია:

საბჭოთა კოლეგია

თბილისი, 3. ათონელის ქ. № 25.